
აგროდაზღვევის მნიშვნელობა სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარებისთვის

არჩილ ცერცვაძე

პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მოწვეული პროფესორი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შავლეგ ლაშხია

მაგისტრანტი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ანოტაცია

აგროდაზღვევის ძირითადი ფუნქციებია სასოფლო - სამეურნეო წარმოების ხელშეწყობა და აგრორისკების რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი ზიანის კომპენსაცია. აგროდაზღვევა წარმოადგენს ქონების დაზღვევის ქვესახეობას, რომელიც ამცირებს რისკს ფერმერული სექტორისთვის და ასტიმულირებს სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარებას. ამდენად აგროდაზღვევის განხორციელება ფერმერისათვის მნიშვნელოვანია. ნაშრომის მიზანია აგროდაზღვევის თავისებურებების შესწავლა და განვითარების პერსპექტივების შემუშავება საქართველოში. კვლევის ამოცანებია საქართველოს აგროდაზღვევის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლა, აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ანალიზი და აგროდაზღვევის განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

საკვანძო სიტყვები: აგროდაზღვევა, შემოსავლის სტაბილიზაცია, აგრორისკები, ფინანსური დანაკარგი

აგროდაზღვევის მნიშვნელობა სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარებისთვის

არჩილ ცერცვაძე

პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მოწვეული პროფესორი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შავლეგ ლაშხია

მაგისტრანტი
ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

შესავალი

სასოფლო სამეურნეო წარმოებამ და სურსათის უსაფრთხოებამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიაღწია პროგრესს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ეკონომიკურ ზრდაზე. სოფლის მეურნეობა ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორია ბევრ განვითარებად ქვეყანაში.

საქართველოს ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის განვითარებას. აგროსექტორში მნიშვნელოვანია სადაზღვევო ინსტრუმენტების დანერგვა და შემდგომი განვითარება. საჭიროა გაიზარდოს დაზღვეული ფერმერების და ფართობების რაოდენობა, რათა ფერმერები დაცული იყვნენ სოფლის მეურნეობაში არსებული რისკებისაგან.

აგროდაზღვევა წარმოადგენს ქონების დაზღვევის ქვესახეობას, რომელიც ამცირებს რისკს ფერმერული სექტორისთვის და ასტიმულირებს სასოფლო სამეურნეო წარმოების განვითარებას. ამდენად აგროდაზღვევის განხორციელება ფერმერისათვის მნიშვნელოვანია.

კვლევის მიზანია აგროდაზღვევის არეალის დადგენა, თავისებურებების შესწავლა და განვითარების პერსპექტივების შემუშავება საქართველოში. კვლევის მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანების გადაჭრა: საქართველოს აგროდაზღვევის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლა, აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ანალიზი და აგროდაზღვევის განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

კვლევა ეფუძნება აგროდაზღვევის ფორმირების ძირითად ასპექტებს, მის თეორიულ საფუძვლებსა და მოდელებს. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია აგროდაზღვევის საკითხებზე არსებული ნაშრომები.

ძირითადი ნაწილი

სოფლის მეურნეობის რისკების ჩამონათვალი ძალიან დიდია. რისკი არის იმის შესაძლებლობა, რომ ფერმა ან მოსავალი განიცდის ზარალს. აგრორისკებია: წარმოების რისკები, ბუნებრივი რესურსების რისკები, ფინანსური რისკები, მარკეტინგისა და ფასის რისკები.

კლიმატის ცვლილების ეფექტი დღითიდღე უფრო თვალსაჩინო ხდება მსოფლიოში და გლობალურ პრობლემად არის მიჩნეული, რომლის გადაჭრაში სულ უფრო მეტი ორგანიზაცია და რესურსი ერთვება.¹

პანდემიურმა წლებმა დაგვანახა, რომ ისეთი ძლიერი ბიზნეს სექტორები როგორც არის ტურიზმი, სამშენებლო, საფინანსო და სხვა გაკოტრების პირას მივიდნენ. რაზეც ამ პერიოდში მოთხოვნა

¹ Agricultural insurance: The antidote to many economic illnesses. Gracelin Baskaran and Barry Maher Wednesday, May 26, 2021

არ დაცემულა იყო სამედიცინო სფერო, პირველადი სამომხმარებლო პროდუქტები და სოფლის მეურნეობის პროდუქცია.²

სოფლის მეურნეობაზე პირდაპირ გავლენას ახდენს კლიმატური ცვლილებები. გარდა იმისა, რომ კლიმატური ცვლილებები საფრთხეს უქმნის გლობალურ სასურსათო უსაფრთხოებასა და სტაბილურობას, ამ ცვლილებებმა შეიძლება გაანადგუროს საარსებო წყაროები და შეარყიოს ეკონომიკური სტაბილურობა. კლიმატის ცვლილება და მასთან დაკავშირებული არასტაბილური ამინდის მოვლენები საფრთხეს უქმნის ფერმერების საარსებო წყაროს, მოსავლიანობა და შემოსავალი დაბლა ეცემა. აგროდაზღვევა ღირებული ფინანსური ინსტრუმენტია მცირე მესაკუთრე ფერმერებისთვის. ის ზრდის მათ მდგრადობას პოტენციური ფინანსური ზარალის თავიდან აცილებით ან შეზღუდვით. აგროდაზღვევა ასევე აადვილებს ფინანსებზე წვდომას და ზრდის მცირე ფერმერების პროდუქტიულობას. მათ შეუძლიათ თავდაჯერებულად განახორციელონ ინვესტიციები თავიანთ მეურნეობებში და მიაღწიონ ეკონომიკურ კეთილდღეობას.

მსოფლიო ბაზარზე იზრდება მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე. საქართველოს ბუნებრივი პირობები იძლევა იმის საშუალებას, რომ შეიქმნას ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი და დაკმაყოფილდეს, როგორც ადგილობრივი ასევე უცხოური ბაზრის მოთხოვნები. საქართველოში სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულია. სწორი პოლიტიკით და მოსახლეობის ამ სექტორში ჩართვით, სოფლის მეურნეობას შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

აგროდაზღვევის პროდუქტებია მოსავლიანობის დაზღვევა, რომელიც აზღვევს სავარაუდო მისაღები მოსავლის ოდენობას და წარმოების ხარჯების დაზღვევა, რომელიც აზღვევს მოსავლის მთელი ციკლისათვის (თესვა, მოვლა, მოსავლის აღება) გამოყენებული ფინანსური რესურსების ოდენობას.

აგროდაზღვევა მოიცავს კულტურების შემდეგ ძირითად ჯგუფებს: ერთწლიანი მინდვრის მოსავალი, მრავალწლიანი მოსავალი (ბაღის ხეების ჩათვლით), სათბურის მოსავალი და ტყეები.

აგროდაზღვევის ფუნქციებია:

1. სასოფლო – სამეურნეო წარმოების ხელშეწყობა;
2. აგრო რისკების რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი ზიანის კომპენსაცია;
3. მოსავლის ზარალით გამოწვეული დანაკარგის შემცირება;
4. ფერმერის საქმიანობის შემდგომ განვითარებაზე შეუფერხებლად გადასვლა.³

საქართველოში 2014 წლიდან დაიწყო აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა. სახელმწიფოს მხრიდან ფინანსდება ფერმერების სადაზღვევო შენატანების დიდი ნაწილი. რაც უდაოდ წინ გადადგმული ნაბიჯია. პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ჩვენს ქვეყანაში არსებული სასოფლო სამეურნეო კულტურების დაზღვევა სეტყვის, წყალდიდობის, ქარიშხლის და საშემოდგომო ყინვის (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის) რისკებისაგან. სახელმწიფო ახორციელებს ფერმერებისათვის სადაზღვევო პრემიის სუბსიდირებას სამოცდაათი პროცენტის ოდენობით. ვაზის დაზღვევის შემთხვევაში სუბსიდია შეადგენს ორმოცდაათ პროცენტს.⁴ აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სადაზღვევო კომპანიების მიერ 2019 წელს მოზიდულია 9,6 მილიონი ლარი, 2020 წელს 13,4 მილიონი ლარი, 2021 წელს 15,5 მილიონი ლარი. ანაზღაურებული ზარალები კი შეადგენს 2019 წელს 8,8 მილიონ ლარს, 2020 წელს 11,7 მილიონ ლარს, 2021 წელს 11,6 მილიონ ლარს.⁵

² Syngenta foundation for sustainable agriculture: Agricultural Insurance Solutions. South-EastAsia, May2, 2021.

³ ცერცვაძე ა., ხანთაძე გ., ვეკუა დ. სადაზღვევო საქმე, თბ. 2016 წ. გვ 377.

⁴ საქართველოს მთავრობის დადგენილება „აგროდაზღვევის პროგრამის დამტკიცების“ შესახებ“ N236, თბ. 2020 წ. 10 აპრილი.

⁵ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის წლიური ანგარიში <https://mepa.gov.ge/Ge/Reports?page=1&pageSize=9>

დასკვნა

ამრიგად საქართველოში სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარგია და მომავლის გამოწვევებიდან გამომდინარე უფრო მეტ აქტუალობას შეიძენს. ამ დარგს ახლავს მნიშვნელოვანი რისკები, რომლის მინიმიზაცია არის საჭირო. აგროდაზღვევა არბილებს მოსავლის ზარალით გამოწვეულ დანაკარგს.

მნიშვნელოვანია დაზღვეული სასოფლო სამეურნეო კულტურების ფართობების რაოდენობის გაზრდა, რისთვისაც საჭიროა კულტურების წარმოების ხარჯების დაზღვევის ამოქმედება;

საჭიროა აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის სრულყოფა სადაზღვევო პრემიის, რისკის ადექვატურად განსაზღვრის მიზნით, ფერმერთა ფინანსური ზარალის სრულფასოვნად ანაზღაურებისათვის, საჭიროა ასევე სადაზღვევო პულის შექმნის მექანიზმების შემუშავება დაზღვევის და გადაზღვევის განხორციელებისას.

მნიშვნელოვანია ზარალების შეფასების მეთოდოლოგიის შექმნა და სრულყოფა სხვადასხვა კულტურისთვის.